ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №15

12 იანვარი, 2018 წ.

ქ. ბათუმი

ერთის მხრივ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (შემდგომში – „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ლაშა კომახიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „სანდასუფთავება", (შემდგომში - „მიმწოდებელი") მისი დირექტორის მ/შ ნარგიზ ფალავანდიშვილის (პირ.N61005001550)სახით , (ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე - NAT170014012) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორციელოს ქ. ბათუმის ტერიტორიის დეზინსექცია-დერატიზაციის მომსახურება (CPV90900000-დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება) შემდგომში-„მომსახურება", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით. (მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია დანართში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს(ტექნიკური პირობები, ფასების ცხრილი, ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია)).

1.2. მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 369406,00 (სამას სამოცდა ცხრაათას ოთხას ექვსი) ლარს.

2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

2.4. მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულე ბული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, მომსახურების შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით.

2.5. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან ერთად დააფიქსიროს შესრულებული მომსახურების ღირებულება.

2.6. მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების ყოველთვიური გადახდის სავარაუდო გრაფიკი. შემსყიდველი უფლებამოსილია არ განახორციელოს ანაზღაურება ხელშეკრულების ყოველთვიური გადახდის სავარაუდო გრაფიკის წარმოდგენამდე.

„შემსყიდველი"
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"
(ხელმოწერა)

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლს, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სანიტარული ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ნუგზარ ცეცხლაძე. შემსყიდევლს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებლებრივი აქტით მიანიჭოს ქ. ბათუმის მერიის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

3.2. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლის, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების 3.1. პუნქტის შესაბამისად შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე შესრულებული მომსახურების კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

3.3. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

4.4. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.

ბ) მომსახურების შესრულების დამოწმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.

5.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების, შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ ასეთ შემთხვევაზე მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შემდეგი ოდენობით:

ა) მრავალსართულიანი სახლების ნაგავგამტარი ბუნკერების დეზინსექციის შეუსრულებლობა თითოეული ადგილისათვის - 50 ლარი თითოეულ ასეთ შემთხვევაზე;

ბ) ქალაქის ტერიტორიაზე დერატიზაციის შეუსრულებლობა თითოეული ადგილისათვის - 50 ლარი თითოეულ ასეთ შემთხვევაზე;

გ) მრავალსართულიანი (სამი და მეტი სართული) საცხოვრებელი სახლების სარდაფების დეზინსექციის შეუსრულებლობა თითოეული ადგილისათვის - 50 ლარი თითოეულ ასეთ შემთხვევაზე;

დ) დაჭაობებული ტერიტორიების დეზინსექციის შეუსრულებლობა თითოეული ადგილისათვის - 50 ლარი თითოეულ ასეთ შემთხვევაზე;

ე) ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექციის შეუსრულებლობა თითოეული კონტეინერისათვის - 10 ლარი თითოეულ ასეთ შემთხვევაზე;

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვ-ნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გაუქვითოს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ფასიდან.

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.
7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.
7.6. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):
7.6.1. მიმწოდებლის მიერ გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულების იმავე პირობების განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში;
7.6.2. ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტის) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;
7.6.3. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.
7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.
7.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

8.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.
8.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 01 თებერვლამდე პერიოდი.

9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ტენდერში

გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე - საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება).

9.3. სს „საქართველოს ბანკი"-ს მიერ მიმწოდებელზე გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის №PE41909-18 საბანკო გარანტის ღირებულება შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს.

9.4. სს „საქართველოს ბანკი"-ს მიერ მიმწოდებელზე გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია №PE41909-18 ძალაშია 2019 წლის 01 თებერვლის ჩათვლით.

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

„შემსყიდველი"
(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"
(ხელმოწერა)

13. შეტყობინება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიანდგება.

14. სხვა პირობები

14.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14.2. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

14.3. ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
აღმასრულებელი ორგანო
მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
ს/კ 245576826;
ბანკის დასახელება-სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ: TRESGE22
ანგ. №GE24NB0330100200165022
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
ლაშა კომახიძე

,,მიმწოდებელი“

შპს "სანდასუფთავება"
ს/კ: 245548153
მის: ბათუმი, ჯავახიშვილის ქ.№55
ტელ: +99522216102
სს ,,საქართველოს ბანკი"
ბ/კ: BAGAGE22
ანგ.NGE57BG0000000524452400
დირექტორის მ/შ
ნარგიზ ფალავანდიშვილი

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

ტექნიკური პირობები

1. მომსახურების შემადგენლობა:

1. 730 ერთეული მრავალსართულიანი (3 და მეტი სართული) საცხოვრებელი სახლების შესასვლელი სადარბაზოების და სარდაფების დეზინსექცია (მაისი-ოქტომბერი) თვეში ორჯერ. დეზინსექციისას უნდა განხორციელდეს შესასვლელი სადარბაზოების და სარდაფების (მათ შორის დატბორილი) იატაკის, შიდა კედლებისა და ჭერის ე.წ. სარდაფის კოღოს წინააღმდეგ დამუშავება მეთილის პირიმეფოსის, დელტამეტრინის, დიაზონინის და მათი შემცველი ხსნარებით, ასევე ჯანმო-ს მიერ რეკომენდირებული ეკოლოგიურად უსაფრთხო ინსექციტიდებით: სოლფაკი ვპ (solfac wp 10): ან პერმეტრინი (permethrin, ან პროპოქსური (propoxur)ან მისი ანალოგიები: ბლატტენექსი, ბაიერ 5006, ბაიგონი, უნდენი, OMC 33. შესხურების მეთოდით.

2. 10000 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია (წლის განმავლობაში) კონტეინერების დაცლის შემდგომ, ადგილზე მეთილის პირიმეფოსის შემცველი ხსნარით შესხურების მეთოდით.

3. ქალაქის ტერიტორიაზე 1080 საცხოვრებელი სახლის და მიმდებარე ტერიტორიების (სარდაფი, შესასვლელი სადარბაზო, ეზო, კიბის უჯრედი) დერატიზაცია ყოველთვიურად, თვეში ერთჯერ. დერატიზაციისას უნდა განხორციელდეს მღრნელების (შავი და რუხი ვირთაგვა, თაგვი) მაღალი მოთესვიანობის ტერიტორიებზე ბროდიფაკუმისა და ბრომდიალონის შემცველი მზა სატყუერების დალაგება. სატყუარები უნდა დალაგდეს ადამიანისათვის მიუწვდომელ ადგილებში.

4. 6 ჰექტარი ღია არხების მიმდებარე და დაჭაობებული ტერიტორიების დეზინსექცია თვეში ორჯერ (მაისი-ოქტომბერი). დეზინსექციისას უნდა განხორციელდეს დამუშავება დელტამეტრინისა ან/და მეთილისპირიმეფოსის შემცველი ხსნარით შესხურების მეთოდით. აქტიური ნივთიერებების სახეობა უნდა შეიცვალოს თვემონაცვლეობით.

5. იტალიური ეზოების, ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების და სარდაფების (სულ-200), დეზინსექცია თვეში ერთჯერ (მაისი-ოქტომბერი), ზემოაღნიშნული ინსექტიციდების გამოყენებით.

აღნიშნული მომსახურება უნდა განხორციელდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 64/ნ ბრძანებაში მოცემული პარამეტრების შესაბამისად.

6. ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება ფარმაკოლოგიური ჯგუფი-რეპელენტი, წერტილოვანი ან ხაზობრივი დასხურების მეთოდით, პრეპარატის შესხურებას დასაცავი ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების და სათავსოების გარშემო სულ-5 ჰა (მომართვიანობის საფუძველზე).

7.ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება ფარმაკოლოგიური ჯგუფი-რეპელენტი, წერტილოვანი ან ხაზობრივი დასხურების მეთოდით, შენობა-ნაგებობებში და მათ სარდაფებში, სხვენებზე, საწყობებში, სხვა სამეურნეო და დამხმარე დანიშნულების ნაგებობებში სულ-2,5 ჰა, (მომართვიანობის საფუძველზე).

8. ქვეწარმავლების დაჭერა, ტრანსპორტირება და დაუსახლებელ ტერიტორიაზე გაშვება სულ- 20 მომართვიანობის საფუძველზე.

9. მიმწოდებელმა მომსახურება უნდა განახორციელოს სპეციალური ავტოტრანსპორტით, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანები, ნიღაბი, სპეცტანსაცმელი).

2. მომსახურების გაწევის ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა:

მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

ა) გასწიოს მომსახურება შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევის ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგი-ური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;

გ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევის ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

(ხელმოწერა) (ხელმოწერა)

დ) მინიმუმამდე დაიყვანოს მომსახურებასთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე;,

ე) მომსახურების გაწევის პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ნორმებს.

3. ინფორმაცია გამოყენებული მასალების შესახებ

0	პრეპარატის დასახელება	აქტიური ნივთიერება/მწარმოებელი ქვეყანა	გამოყენების არეალი	ხარჯვის ნორმა
1	დეცის პროფი	დელტამეტრინი/ გერმანია	დაჭაობებული ტერიტორიები, კოღოს მატლი, ტარაკანი, ბუზი	1-1.5 კგ/ჰა
2	აქტელიკი	პარიმეფოს - მეთილი/შვეიცარია	მყარი გადანაყრები, ბუზი, ტარაკანი, კოღო	მზა ხსნარი 1-1.5 მლ/1 კვმ
3	დიაზინონი	დიაზინონი/ ესპანეთი, საქართველო, ბელორუსი	ნაგავგამტარი ბუნკერები და კონტეინერები, ტარაკანი, ბუზი	მზა ხსნარი 0.4-0.8 გ/კვმ
4	ექტოციდოლი			
5	რაციდოლი			
6	ალფატრინი	ალფა-ციპერმეტრინი/ თურქეთი	დახურული და ღია ტერიტორიები, კოღო, ბუზი	0,02-0,03 ბ/კვმ
7	კრისინაია სმერტ N1	ბროდიფაკუმი/უკრაინა	შენობები, ნესტიანი ადგილები, შავი და რუხი ვირთაგვა, თაგვი	მოთესვიანობის მიხედვით
8	ვინიშჩუვაში			
9	რატექსი	ბრომადიალონი/ საქართველო	შენობები, ნესტიანი ადგილები, შავი და რუხი ვირთაგვა, თაგვი	მოთესვიანობის მიხედვით
10	ლიზოფორმინ სპეციალი	1. გუანიდინის დერივატი 2. დიდეცილდიმეთიამონიუმის ქლორიდი/ გერმანია	შენობები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, სადეზინფექციო საშუალება	ჭურჭელი - 0,5% ზედაპირები- 0.75%
11	ბიოლოგიკალსტოპერი	(ბუტილ-პროპილ-ქლორმეთილ-დოდეცილ-ფიტომერკაპტანი -3%, სპირტი - 97%)/ საქართველო	შენობები, ღია ტერიტორიები	1 ლ.500-1000 მეტრი

4. მიმწოდებელმა მომსახურება უნდა განახორციელოს მინიმუმ 5 (ხუთი) ბრიგადით, თითოეული 2 (ორი) კაცის შემადგენლობით.

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

ფასების ცხრილი

№	მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (ლარებში)	ჯამი (ლარი)
1	მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლების სარდაფების და სადარბაზოების დეზინსექცია, თვეში ორჯერ, მაისი-ოქტომბერი (730 ობ. x 6 თვე)	სახლი	8760	22,00	192720,00
2	იტალიური ეზოების (ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი სახლების ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია თვეში ერთჯერ (მაისი ოქტომბერი 200 ობ. x 6 თვე)	სახლი	1200	22,00	26400,00
3	ქალაქის ტერიტორიის დერატიზაცია, თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად (1080 ობ. x 12 თვე)	სახლი	12960	6,25	81000,00
4	ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია, (სულ-10000 x12 თვე) წლის განმავლობაში	ცალი	10000	1,00	10000,00
5	ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია, თვეში ორჯერ, მაისი-ოქტომბერი (6 ჰა x 6 თვე)	ჰექტარი	72	330,00	23760,00
6	ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, წერტილოვანი ან ხაზობრივი დასხურების მეთოდით, პრეპარატის შესხურებას დასაცავი ტერიტორიის, შენობა -ნაგებობების და სათავსოების გარშემო (სულ- 5 ჰა) მომართვიანობის საფუძველზე	კვ.მ	50000	0,45	22500,00
7	ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, წერტილოვანი ან ხაზობრივი დასხურების მეთოდით, შენობა-ნაგებობებში და მათ სარდაფებში, სხვენებზე, საწყობებში, სხვა სამეურნეო და დამხმარე დანიშნულების ნაგებობებში (სულ- 2,5 ჰა),მომართვიანობის საფუძველზე.	კვ.მ	25000	0,45	11250,00
8	ქვეწარმავლობის დაჭერა, ტრანსპორტირება და დაუსახლებელ ტერიტორიაზე გაშვება მომართვიანობის საფუძველზე	ცალი	20	88,80	1776,00
	სულ				369406,00

„შემსყიდველი"

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი"

(ხელმოწერა)

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 12 იანვარი 2018 წ.

ვადასტურებთ, რომ ქ. ბათუმის ტერიტორიის დეზინსექცია-დერატიზაციის მომსახურების (ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე - NAT170014012) განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
აღმასრულებელი ორგანო,
მუნიციპალიტეტის მერი ლაშა კომახიძე

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამსახურის სანიტარული
ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ნუგზარ ცეცხლაძე

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია # PE41909-18

08 იანვარი 2018 წელი

თბილისი
გარანტი: სს საქართველოს ბანკი (შემდგომში „გარანტი")
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს სანდასუფთავება (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 245548153
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ბათუმი, ჯავახიშვილის ქ., №55
ბენეფიციარი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „ბენეფიციარი")
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 245576826
საგარანტიო თანხა: 7,390 (შვიდი ათას სამასოთხმოცდაათი) ლარი
ტენდერის უნიკალური ნომერი: #NAT170014012

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა ქ. ბათუმის ტერიტორიის დეზინსექცია-დერატიზაციის მომსახურებების გაწევის მიზნით წარდგენილი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 7,390 (შვიდი ათას სამასოთხმოცდაათი) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, საბანკო რეკვიზიტები და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან (დამატებითი მტკიცებულების და დოკუმენტირების წარმოდგენის საჭიროების გარეშე). მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ბანკი უფლებამოსილია არ მოითხოვოს აღნიშნული საბუთი, თუ ხელმომწერი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია) და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს: 01 თებერვალი 2019 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხოვნა ან პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი" (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,
ეთერ ჩხეიძე
გარანტიების სამსახურის უფროსი

TRADE FINANCE DEPARTMENT
204378869